

დებულება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო ოპერაციების წარმოების შესახებ

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
2003 წლის 27 იანვრის N19 ბრძანებით
2005 წლის 23 მაისის
N 120 ბრძანებით,
შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. დებულება შემუშავებულია “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 61-ე და 73-ე მუხლების საფუძველზე.

2. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სათაო რეზიდენტი კომერციული ბანკებისაგან და არარეზიდენტი კომერციული ბანკების ფილიალებისაგან, რომლებიც რეგისტრირებული არიან საქართველოს ტერიტორიაზე (შემდგომში “კომერციული ბანკი”), ეროვნულ ვალუტაში ფულადი სახსრების დეპოზიტების სახით მოზიდვის მიზნით ოპერაციების (შემდგომში “სადეპოზიტო ოპერაციები”) წარმოების წესს.

3. სადეპოზიტო ოპერაციების მიზანია ეროვნული ბანკის მიერ საბანკო სისტემის ლიკვიდურობის ეფექტურად მართვა. საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს შემდეგი სახის სადეპოზიტო ოპერაციებს:

ა) ერთდღიანი სადეპოზიტო ოპერაციები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოცხადებით;

ბ) ერთი ფასის მეთოდზე დაფუძნებული, სამ თვემდე ვადით სადეპოზიტო აუქციონი (შემდგომში “აუქციონი”);

4. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს და/ან მისაღები დეპოზიტების საერთო მოცულობას განსაზღვრავს ეროვნული ბანკის საბჭო. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო არ შეიკრიბება 2 (ორი) კვირის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს საპროცენტო განაკვეთი და/ან მისაღები დეპოზიტების საერთო მოცულობა.

5. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს “საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ” საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით, ითვალისწინებს ინფლაციის ფაქტიურ და საპროგნოზო მაჩვენებლებს, საბანკო სისტემის ლიკვიდურობის პოზიციას, სავალუტო და საფინანსო ბაზრების (ფულადი, აგრეთვე სახაზინო ვალდებულებების პირველადი და მეორადი ბაზრების) მდგომარეობას, აგრეთვე საერთო მონეტარულ ფონს.

6. სადეპოზიტო ოპერაციების მონაწილეები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი, ერთის მხრივ და კომერციული ბანკები, მეორეს მხრივ.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან სადეპოზიტო ოპერაციებს ახორციელებს გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე (დანართი N1).

8. დაუშვებელია კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტებზე განთავსებული თანხის ვადაზე ადრე გატანა.

9. საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული დეპოზიტების ვადა გაგრძელებას არ ექვემდებარება.

10. დაუშვებელია კომერციული ბანკების მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებულ დეპოზიტებზე არსებულ თანხებზე მოთხოვნის უფლების გადაცემა მესამე პირზე.

მუხლი 2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიანი დეპოზიტების მიღების წესი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი ერთდღიან სადეპოზიტო ოპერაციას ახორციელებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოცხადების გზით.

2. ეროვნული ბანკი ერთდღიანი დეპოზიტების მიღების შესახებ შეტყობინებას აკეთებს ერთი დღით ადრე.

3. ერთდღიანი დეპოზიტები მიიღება ყოველდღიურად, საბანკო დღეებში წინასწარ გამოცხადებული პირობებით (საპროცენტო განაკვეთი და საერთო თანხა). ამ პირობების ცვლილების შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ძალაში შედის შეტყობინების გაკეთების მომდევნო დღიდან.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიანი დეპოზიტების მიღების შემთხვევაში, კომერციული ბანკი, რომელსაც განზრახული აქვს განათავსოს ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე, მიმართავს საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ოპერაციების სამმართველოს სათანადო ფორმის გარიგება-განაცხადით (დანართი N2).

5. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიანი დეპოზიტების მიღების შესახებ შეტყობინება (დანართი N3) ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეგზავნება კომერციულ ბანკებს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) დეპოზიტზე მისაღები თანხის საერთო მოცულობა;

ბ) დეპოზიტის ფიქსირებული, წლიური საპროცენტო განაკვეთი;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის იმ სტრუქტურული ერთეულის დასახელება (ფულად-საკრედიტო ოპერაციების სამმართველო), მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი და ფაქსი, რომელიც აწარმოებს კომერციული ბანკის გარიგება-განაცხადის მიღებას დეპოზიტის განთავსების შესახებ.

6. ერთდღიან სადეპოზიტო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ გარიგება-განაცხადის მიღება ხდება სადეპოზიტო ოპერაციის ჩატარების დღის 14.00 საათამდე.

7. გარიგება-განაცხადების მიღებასა და სადეპოზიტო ანგარიშებზე თანხების განთავსებას ახორციელებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული საკრედიტო კომიტეტი (შემდგომში ``კომიტეტი``).

8. კომერციული ბანკებიდან შემოსული გარიგება-განაცხადების მონაცემები მისი პროგრამულად დამუშავების მიზნით შეიტანება კომპიუტერში. კომიტეტის წევრები პასუხისმგებელი არიან შემოსული გარიგება-განაცხადების მონაცემების კომპიუტერში სრულყოფილად შეტანაზე. ამოწმებენ კომერციული ბანკების მიხედვით გარიგება-განაცხადებისა და მათი რეკვიზიტების შესაბამისობას კომპიუტერში შეტანილ ინფორმაციასთან, აგრეთვე გარიგება-განაცხადში მითითებული თანხის შესაბამისობას მათ საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხულ თანხასთან.

9. ეროვნული ბანკი არ განიხილავს იმ კომერციული ბანკების გარიგება-განაცხადებს, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს განაცხადების სწორად წარმოდგენა.

10. დაუშვებელია შემოტანილი გარიგება-განაცხადის შეცვლა ან გაუქმება.

11. იმ შემთხვევაში თუ ყველა გარიგება-განაცხადში მითითებული თანხების საერთო ოდენობა აღემატება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ დეპოზიტებზე მისაღები თანხების საერთო ოდენობას, მაშინ კომერციული ბანკების გარიგება-განაცხადები კმაყოფილდება პროპორციულად, მძიმედან მარცხნივ ათეულის სიზუსტის დამრგვალებით.

12. კომერციულ ბანკებს სადეპოზიტო ოპერაციების შედეგები ელექტრონული ფოსტით დაეგზავნება მათი დამთავრებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 15.30 საათისა. (დანართი N4).

მუხლი 3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამ თვემდე ვადით დეპოზიტების მიღების წესი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი სამ თვემდე ვადით დეპოზიტების მიღებას ახორციელებს ერთი ფასის მეთოდზე დაფუძნებული აუქციონის საშუალებით.
2. აუქციონის მუშაობას წარმართავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული საკრედიტო კომიტეტი.
3. სამ თვემდე ვადით სადეპოზიტო აუქციონები იმართება ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს სადეპოზიტო აუქციონის წესით დეპოზიტებზე მისაღებ თანხების ლიმიტებს და მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო არ შეიკრიბება 2 (ორი) კვირის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება აუქციონის გამართვის შესახებ, განსაზღვროს სადეპოზიტო აუქციონის წესით დეპოზიტებზე მისაღები თანხების ლიმიტები და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი.
4. აუქციონი იმართება საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში დღის 12 საათზე ეროვნული ბანკის შეტყობინების (დანართი N5) საფუძველზე;
5. სამ თვემდე ვადით აუქციონის გამართვის შესახებ შეტყობინება ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეგზავნება კომერციულ ბანკებს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) აუქციონის გამართვის თარიღი;
 - ბ) დეპოზიტზე მისაღები თანხის საერთო მოცულობა;
 - გ) დეპოზიტზე განთავსებული თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის დაბრუნების თარიღი;
 - დ) საქართველოს ეროვნული ბანკის იმ სტრუქტურული ერთეულის დასახელება (ფულად-საკრედიტო ოპერაციების სამმართველო), მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი და ფაქსი, რომელიც აწარმოებს კომერციული ბანკის გარიგება-განაცხადის მიღებას დეპოზიტის განთავსების შესახებ.
6. ეროვნული ბანკი მორიგი აუქციონის ჩატარების თაობაზე კომერციულ ბანკებს ატყობინებს არა უგვიანეს ერთი დღით ადრე;
7. აუქციონი იმართება საჯარო ვაჭრობის პრინციპით;
8. აუქციონების მეშვეობით დეპოზიტების მიღება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში;
9. კომერციული ბანკები აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გარიგება-განაცხადს (დანართი N6) წარუდგენენ კომიტეტს აუქციონის გამართვის დღეს არა უგვიანეს 11.45 საათისა;
10. აუქციონის დაწყების შემდეგ დაუშვებელია შემოტანილი გარიგება-განაცხადის მოხსნა;
11. კომიტეტი ამოწმებს თითოეული კომერციული ბანკიდან შემოსული გარიგება-განაცხადის შევსების სისწორეს, ყველა რეკვიზიტისა და მითითებული თანხის შესაბამისობას მათ საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხულ თანხასთან.
12. არასწორად შევსებული გარიგება-განაცხადის წარმოდგენი კომერციული ბანკი აუქციონზე არ დაიშვება;
13. აუქციონზე დაშვებული კომერციული ბანკების გარიგება-განაცხადების მონაცემები, მისი პროგრამულად დამუშავების მიზნით, შეიტანება კომპიუტერში. გარიგება-განაცხადები დაჯგუფდება განცხადებული საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით; კომიტეტის წევრები პასუხისმგებელნი არიან შემოსული გარიგება-განაცხადების მონაცემების კომპიუტერში სრულყოფილად შეტანაზე, ამოწმებენ კომერციული ბანკების მიხედვით გარიგება-განაცხადებისა და მათი რეკვიზიტების შესაბამისობას კომპიუტერში შეტანილ ინფორმაციასთან.
14. კომერციული ბანკების მიერ გარიგება-განაცხადების წარმოდგენლობის შემთხვევაში აუქციონი არ ჩატარდება;
15. აუქციონის დაწყებისას კომიტეტი მონაწილეებს აცნობებს დეპოზიტის განთავსების შესახებ გარიგება-განაცხადებში მითითებულ მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს (შემდგომში „საწყისი პროცენტი“) და მისაღები დეპოზიტის მოცულობას;

16. იმ შემთხვევაში თუ შემოთავაზებულ საპროცენტო განაკვეთზე მისაღები დეპოზიტის თანხა ნაკლებია შემოთავაზებულ თანხაზე, ან პირიქით, მისაღები დეპოზიტის თანხა მეტია შემოთავაზებულ თანხაზე აუქციონის კომიტეტი აცხადებს ახალი განაცხადების (სავაჭრო ფურცლების მეშვეობით, დანართი N7) წარდგენის შესახებ, რომლებშიც გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად რამდენიმე პუნქტით დაბალი ან მაღალი იქნება;

17. მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია მე-3 მუხლის მე-16 პუნქტით, მეორდება მანამ, სანამ დეპოზიტზე შემოსატანი თანხების საერთო ოდენობა არ გაუტოლდება ლიმიტით განსაზღვრული თანხების საერთო ოდენობას ან საპროცენტო განაკვეთი არ გაუტოლდება ლიმიტით განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს.

18. ამასთან, ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის არაუმეტეს 3-ჯერ განმეორების შემთხვევაში, კომიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს აუქციონი და დააფიქსიროს განმეორებული საპროცენტო განაკვეთი;

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესები

1. ერთდღიანი დეპოზიტების მიღებისას ან აუქციონის დამთავრების შემდეგ დაკმაყოფილებულ გარიგება-განაცხადებთან დაკავშირებული ანგარიშსწორება უნდა დასრულდეს იმავე საბანკო დღეს;

2. კომერციული ბანკის გარიგება-განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს გაუხსნის პირად სადეპოზიტო ანგარიშს, ჩამოწერს მისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან გარიგება-განაცხადით გათვალისწინებულ საბოლოო თანხას და ჩარიცხავს მის სადეპოზიტო ანგარიშზე;

3. სადეპოზიტო ვადის გასვლის შემდეგ ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის სადეპოზიტო ანგარიშიდან ჩამოწერს დეპოზიტის ძირითად თანხას, ხოლო შესაბამისი პროცენტული ხარჯების ანგარიშიდან მასზე დარიცხულ პროცენტებს და იმავე საბანკო დღეს ჩარიცხავს კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე;

4. ეროვნული ბანკი ვალდებულია კომერციულ ბანკებს

ა) ერთდღიან დეპოზიტებზე განთავსებულ თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი დაუბრუნოს 24 საათის გასვლის შემდეგ, შესაბამისი საოპერაციო დღის დასრულებამდე.

ბ) სამ თვემდე ვადით დეპოზიტის თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი დაუბრუნოს ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისი საბანკო დღის დასრულებამდე.

5. იმ შემთხვევაში თუ თანხის დაბრუნების დღე ემთხვევა უქმე დღეს, თანხის დაბრუნება ხდება მომდევნო საბანკო დღეს;

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან ამ დებულების წესები და პირობები;

2. მხარეების მიერ სადეპოზიტო ოპერაციებთან დაკავშირებული ვალდებულებების (კომერციული ბანკის გარიგება-განაცხადით განსაზღვრული თანხის სრულად ან ნაწილობრივ საკორესპონდენტო ანგარიშზე არ არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის არასრულად ჩარიცხვის ან სხვა ვალდებულების) შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისინი ჯარიმდებიან დანაკლისი თანხის 5.0 პროცენტის ოდენობით.

3. გარიგებასთან დაკავშირებით წამოჭრილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.